

ეკა დულაშვილი

სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: ბერძნული ტექსტები

მსოფლიოს სხვადასხვა წიგნსაცავში არსებული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა ჩვენი კულტურის წერილობითი თუ მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოგვიდგენს.

სანკტ-პეტერბურგში დაცული ქართულ-ბერძნული ხელნაწერი (სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა, рашоиз. 0.1.58) ყურადღებას XIX საუკუნის დამლევადან იპყრობს. ხელნაწერი მისი შედგენილობის, ქართული და ბერძნული ტექსტების ტიპოლოგიის, მათი შინაარსობრივი და ტექსტობრივ-ფილოლოგიური თავისებურებების თვალსაზრისით არავის უკვლევია. ლ. ევსეევას, რომელმაც მხატვრული თვალსაზრისით მონოგრაფიულად შეისწავლა ხელნაწერი, ტექსტების, განსაკუთრებით კი ქართულის, მიმართება მინიატურებთან არ გაუთვალისწინებია. მის მიერ განსაზღვრულ იქნა ხელნაწერის შექმნის სავარაუდო თარიღი და ადგილი – ათონის ივერთა მონასტერი (Евсеева 1983).

საკითხის შესწავლის სიახლეს განაპირობებს ის, რომ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში, პროექტის მონაწილეთა მიერ სანკტ-პეტერბურგის ხელნაწერის ორენოვანი ტექსტები და დასურათება კომპლექსურად იქნა შესწავლილი.

ხელნაწერი ქართული და ბერძნული ტექსტების თავისებურ ერთიანობას წარმოადგენს. მასში შესული ორენოვანი ტექსტები განსხვავებული ჟანრისა და შინაარსისაა. შეიცავს ლიტურგიკული ხასითის საკითხავების ციკლს ოთხივე სახარებიდან, ცალკეული დღესასწაულების და წმინდანებისდმი მიძღვნილ მცირე ფორმის საგალობლებს, ლოცვებს და აპოკრიფულ ტექსტებს – იესო ქრისტესა და მეფე ავგაროზის მიმონერას. ტექსტები განთავსებულია ხელნაწერის დასაწყისში, შუაში და ბოლოსაც. ხელნაწერში 385 მინიატურაა, მათგან 165 მრავალფიგურიანი და 220 ერთფიგურიანი გამოსახულება. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ნაწილადაა მიჩნეული ქუთაისის მუზეუმის „გულანში“ (K-115) ჩართული ორი დასურათებული ფურცელიც (155r-v, 157r-v). ნუსხის დასასურათებლად შექმნილ შეიდასამდე გამოსახულებას მკვლევარი ლ. ევსეევა

XV საუკუნის ბოლოთი ათარილებს. ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, ამდენად, მისი გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ნუსხას ბოლო რესტავრაცია XVII საუკუნეში ჩაუტარდა. იგი ხელახლა აკინძეს და პაგინაცია ახალი გაუკეთეს. მოგვიანო ხანისაა ხელნაწერის ვერცხლის კიოტიც.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ქართული ნაწილი თითქმის მთლიანად ეთმობა ლიტურგიკული საჭიროებისათვის განკუთვნილ სახარებისეულ საკითხავებს. ხელნაწერის კიდებზე არ ჩანს მითითება იმაზე, თუ რომელ დღეზეა დადებული ესა თუ ის საკითხავი. საფიქრებელია, ხელნაწერის ბოლოში იყო საძიებელი ლიტურგიკული მინიშნებებით, რომელიც ბოლო ფურცელთა კლების გამო ჩვენამდე არ არის მოღწეული.

ტექსტების ამგვარი განლაგება და მინიატურებთან ერთად ერთ ხელნაწერში თავმოყრა ნუსხის თავისებურებაა. ამ ტიპის ნუსხას ლ. ევსეევა სასულიერო შინაარსის ტექსტების კრებულად მიიჩნევს, სადაც მინიატურები და ტექსტები ერთმანეთთან შინაარსობრივად და იდეურად არის დაკავშირებული. სადღესასწაულო ტროპარები და წმინდანებისადმი მიძღვნილი ლოცვები შერჩევით არის განლაგებული. ყველაზე გავრცელებული ტექსტები – საკითხავები – ნუსხის დასაწყისსა და ბოლოშია მოთავსებული, რაც ხელნაწერის იდეურ-შინაარსობრივ პროგრამას ასახავს. ხელნაწერის დასაწყისში სახარების საკითხავების რიგი, რომლებიც ქრონოლოგიურად ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამსახველ ფრაგმენტებს ასახვს, თავისებურ ტიპოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ეს ტექსტობრივი ნაწილი ახლოს დგას ქრისტიანულ აღმოსავლეთში, კერძოდ კი სირიასა და შუამდინარეთში გავრცელებულ დიატესარონთან, რომელიც მოღწეულია XIII საუკუნის სპარსული თარგმანით და ბერძნულენოვანი ფრაგმენტით. ამგვარი ტიპოლოგიის ხელნაწერის შესახებ აღნიშნული აქვს ევსევი კესარიელს თავის „საეკლესიო ისტორიაში“. ამ ტიპის შემოკლებული სახარება გავრცელებული იყო ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში და გამოიყენებოდა ქრისტიანობის საქადაგებლად, თუმცა V საუკუნის შემდეგ იგი უკვე ერეტიკულად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მსგავსი ტიპის ხელნაწერების პოპულარობა გაგრძელდა X-XIV საუკუნეებშიც. 1541 წელს დიატესარონი გადაწერა და მინიატურებით შეამკო ქრისტიანმა სპარსმა. ეს ხელნაწერი გადაიტანეს რომში, რომ პაპისთვის საჩუქრად მიერთმიათ (Евсеева 1983: 342-366). თუკი დიატესარონის ტექსტი შუა საუკუნეებში ცნობილი იყო სირიასა და შუამდინარეთში, აგრეთვე, ევროპაში, მას, სავარაუდოდ, იცნობდნენ საქართველოშიც.

ხელნაწერში შესული ბერძნული ტექსტობრივი ნაწილი შეიცავს ქართულისგან განსხვავებული შინაარსის ტექსტებს, მათ შორის სამედიცინო ხასიათის ეპიგრამებს, რომლებიც წლის თითოეული თვის დახასიათებას წარმოადგენს. ამ ტექსტებში აღწერილია, თუ რომელი თვეა საზიანო ან სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ეპიგრამის ტექსტს მოსდევს თვეების პერსონიფიცირებული აღწერა, რაც ავტორს სჭირდება მინიერი დროის იდეის გადმოსაცემად. ეპი-

გრამის ავტორები არიან ნიკოლოზ კალიკლე, ბიზანტიის საიმპერატორო კარის ექიმი და შესანიშნავი პოეტი XI-XII საუკუნეებში და XI საუკუნის კომენტატორი თეოდორე პროდრომოსი. ამგვარი თხზულებები შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო სამონასტრო წრეებშიც.

ხელნაწერი განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს მასში ჩართული ბერძნული ტექსტების შინაარსობრივი და ენობრივი თავისებურებების თვალსაზრისით და საინტერესოა შედგენილობისა და ენობრივი ფორმების სპეციფიკითაც.

ნუსხაში ბერძნული ტექტები შემდეგი თანმიმდევრობით არის განლაგებული:

- საუფლო დღესასწაულთა მინიატურები და შესაბამისი საგალობელი ტროპარები (სურ.1);

პერსონიფიცირებული თვეები და თეოდორე პროდრომოსის და ნიკოლოზ კალიკლეს მიერ შედგენილი ეპიგრამები (სურ. 2);

ლოცვები: „აცხოვნე, უფალო ერი შენი, „მამაო ჩუენო“ და სხვ;

სახარების საკითხავები ე. წ დიატესარონი: ოთხი სახარების – იოანეს, მათეს, ლუკას, მარკოზის თავებიდან;

წმინდანებისადმი და მახარებლებისადმი მიმართული სხვადასხვა შინაარსის ლოცვები. ტექსტები შინაარსობრივად შეესაბამება თანხლებ მინიატურებს, ხოლო ტექსტში ჩართულ სავედრებელ ლოცვებში იხსენიება ქაიხოსრო, რომლის მრავალჯამიერ სიცოცხლეს და მფარველობას შესთხოვენ წმინდანებს ხელნაწერის გადამწერები (სურ. 3);

თეოდორე პროდრომოსის ფილოსოფიური შინაარსის საგალობლები, რაზეც ტექსტის წინ წამძღვარებული სათაურიც მიუთითებს (114r-115v).

ასეთია ხელნაწერის ბერძნული ტექსტების შედგენილობა და თანმიმდევრობა.

ბერძნულ ტექსტობრივ ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, არალიტურგიკული შინაარსის ეპიგრამებია, რაც ხელნაწერის სპეციფიკას წარმოადგენს. თუ დავუშვებთ, რომ ხელნაწერი ზოგადად ლიტურგიკული ფუნქციის იყო, მაშინ ნიკოლოზ კალიკლეს და თეოდორე პროდრომოსის ეპიგრამების ჩართვა არალოგიკურია; ბერძნულ ტექსტობრივ ნაწილს, ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ხელნაწერის კომპოზიციის გასააზრებლად და XV საუკუნის პოსტბიზანტიური გავლენითაა შედგენილი.

მინიატურების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო წრეებში ბოლო ხანებამდე მიჩნეული იყო, რომ XV საუკუნის ბოლოთი დათარიღებული სანკტ-პეტერბურგის ქართულ-ბერძნულ ხელნაწერი ათონურ წრეში შეიქმნა. ნ. ქავთარიას დაკვირვებით, ოთხთავის მხატვრული გაფორმება და მინიატიურები, ისევე როგორც ამ პერიოდის ათაბაგთა სკრიპტორიუმში დასურათებული ხელნაწერები, მათთვის დამახასიათებელი ქართული მინიატიურული მხატვრული ტრადიციების და აღმოსავლური გავლენის მიუხედავად, ახლო კავშირს ამჟღავნებს ათონთან და მასთან დაკავშირებულ მხატვრულ წრესთან

(თესალონიკი) და კრეტული და დასავლური ხელოვნების ანარეკლს წარმოადგენს (Eaceea 1983: 342-366; ქავთარია 2009: 174-176; დულაშვილი... 2012: 8)

ხელნაწერის ზუსტი დათარიღება და შექმნის ადგილის განსაზღვრა შესაძლებელი გახდა ხელნაწერის ბერძნულ და ქართულ ლოცვათა ტექსტების დადგენის შემდგომ, მათში მოხსენიებული ქაიხოსროს პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებით. როგორც გაირკვა, ლოცვების ტექსტებში მოხსენიებული ქაიხოსრო არის სამცხის ათაბაგთა საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენელი, ყვარყვარე II დიდის ვაჟი, სამცხის ათაბაგი 1498-1500 წლებში. იგი სანკტ-პეტერბურგის ხელნაწერის ლოცვების ტექსტებში ცოცხლად იხსენიება. ამდენად, ხელნაწერი შექმნილი უნდა იყოს ქაიხოსრო ათაბაგის სიცოცხლეში, 1500 წლამდე.

ათაბაგთა კარზე იმ პერიოდში შექმნილ ხელნაწერებზე დართულ ანდერძ-მოსახსენებლებიდან, რომლებშიც ხაზგასმულია ჯაყელთა სახლის წევრების ქრისტიანული სათნოება და ქრისტიანული განწყობილება, ვიგებთ, რომ ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე „სიბრძნის გამომეძიებლობასთან“ ერთად, „დაუცხრომლად ღმრთის მადიდებლობითაც“ გამოირჩეოდა (შარაშიძე 1961:95-96; კლდიაშვილი 2010: 228-229).

პეტერბურგის ხელნაწერი, რომლის შექმნაშიც ქაიხოსრო ყვარყვარეს ძის განგებით მონაწილეობას იღებდა რამდენიმე გადამწერი და მხატვარ-მინიატურისტი, პალეოგრაფიული თვალსაზრისითა და მინიატურების შესრულების სპეციფიკით, სიახლოვეს გვიჩვენებს XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე სამხრეთ საქართველოში შექმნილი რამდენიმე მოხატული ხელნაწერი (A-351, Q-920, Q-921, K-375 და სხვ.) (ამირანაშვილი 1961: 380-381; სხირტლაძე 1994: 20-25; ქავთარია 2009: 175-176).

მხატვრული თვალსაზრისით პეტერბურგის ხელნაწერთან სიახლოვეს გვიჩვენებს ფსალმუნი (A-351). ის ქაიხოსროს ძმის, პატრონ მზეჭაბუკის დაკვეთით, 1494 წელსაა გადანუსხული ქაიხოსროს „გაზრდილი“ კალიგრაფისა და მინიატურისტის, ამბროსის მიერ. ზ. სხირტლაძის მოსაზრებით, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების თვალსაზრისით, პეტერბურგის ხელნაწერის მინიატურების ერთ ჯგუფს (მათ შორის გელათის გულანაში ჩაკრულ მინიატურებს) ბევრი რამ აქვთ საერთო A-351 ხელნაწერი ფსალმუნის შემამკობელ მინიატურებთან, რაც სავარაუდოს ხდის ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გადანერგასა და დასურათებაში სხვადასხვა ოსტატთა გვერდით ამ ხელნაწერის გადამწერის და მოხატულობით შემამკობელის, ამბროსის მონაწილეობას (სხირტლაძე 1994: 21-25). 1500 წლის ახლო ხანებში ქაიხოსროს სულის სამლოცველოდ ათონის ივერთა მონასტერში დიდი შესანიშნავით ჩასულ ქაიხოსროს „გაზრდილ“ ამბროსის განსაკუთრებული წვლილი შეუტანია მონასტერში გოდოლის, სენაკებისა და კათოლიკონის გუმბათის აღდგენისა და პორტიკისას ხატის ახალი მოჭედულობით შემოსვის საქმეში. ამ დამსახურებისა და ათაბაგთა მიერ დიდი შეწირულების აღსანიშნად ქაიხოსროს პორტრეტული გამოსახულება მონას-

ტრის გაღერების ქართველ მეფეთა და დიდებულთა საკტიტორო რიგშიც ჩაურთავთ (სხირტლაძე 1994: 17-27).

ქაიხოსროს უდროო გარდაცვალებით გამონვეული მსუხარებაა გადმოცემული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში დაცულ 1502 წლით დათარიღებულ მდიდრულად გაფორმებულ ოთხთავის (K-375) ვრცელ ანდერძში. დ. კლდიაშვილის გამოკვლევით, ხელნაწერის გადამწერია მღვდელმონაზონი აკაკი, რომლის მიერაც 1502 და 1504 წლებში გადამწერილ და შემკობილ იქნა ორი ოთხთავი (K-375 და Q-920); ამ ხელნაწერებში მზეჭაბუკის და მისი დის, გიორგი VIII-ის თანამეცხედრის, თამარის ბრძანებით აკაკის მიერ შეტანილ იქნა ნეკროლოგის ტიპის ათაბაგთა სახლის წევრების განმადიდებელი მოსახსენებლები. დ. კლდიაშვილის აზრით, აკაკის მიერ გადამწერული და მოხატულობით შემკული ეს ხელნაწერები პალეოგრაფიული და მხატვრული სტილის მიხედვით საათაბაგოს სამხატვრო წრეში შექმნილ სანკტ-პეტერბურგის ქართულ-ბერძნულ კრებულს უკავშირდება, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ქართულ-ბერძნული კრებულის შექმნაში მონაწილეობას იღებდა ათაბაგთა კარზე გაზრდილი ქართველი მღვდელმონაზონი აკაკი და ტრაპიზონიდან საათაბაგოში დამკვიდრებული ბერძენი მღვდელმონაზონი სვიმეონი (იგი საათაბაგოში გახდა ჯერ ტბეთის, შემდეგ აწყურის ეპისკოპოსი); მათ 1470-იან წლებში ქაიხოსროს უმცროსი ძმის, ბაადურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეწირულება ჩატანიათ ათონის ივერთა მონასტერში (კლდიაშვილი 2010: 229).

რაც შეეხება ხელნაწერის ბერძნული ტექსტებისა და ლოცვების გადამწერ-შემდგენელს, იგი, ჩვენი დაკვირვებით, მართლაც, ამ ორ მღვდელმონაზონთაგან ერთ-ერთის, კერძოდ კი, ტრაპიზონელი სვიმეონის შექმნილი უნდა იყოს; ან, როგორც ვარაუდობენ, მის შედგენაში ორივე მათგანი – ტრაპიზონელი ბერძენი სვიმეონი და ქართველი აკაკი ერთად მონაწილეობდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ქაიხოსრო ათაბაგის მოღვაწეობის პერიოდში საგრძობლად გაიზარდა საათაბაგოში დამკვიდრების მოსურნე ტრაპიზონიდან გადმოსახლებულ ბერძენთა (რომეების) რაოდენობა, ხოლო თავად ქაიხოსრო ათაბაგმა შეისწავლა ბერძნული ენა და მფარველობდა ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებს (კლდიაშვილი 2010: 223-224).

ღრმად პატივსაცემ პიროვნებად ჩანს ქაიხოსრო ბერძნულ-ქართული ხელნაწერის ლოცვების ბერძნულ ტექსტში ჩართულ მოსახსენებლებში:

105v-106r:

βοηθησατε τον δούλον του θεου και χοσροϋ.

(შეწიეთ მონასა ღვთისა ქაიხოსროს)

107p. άγιοι γυναϊκες, βοηθησατε και σωτηρησατε τον δούλον του θεου και χοσροϋ νυν και αεί και εις τους αιώνας των αιώνων, αμήν.

(წმინდანო დედანო, შეწიეთ და აცხოვნეთ მონა ღვთისა ქაიხოსრო, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე).

ხელნაწერის ბერძნული ტექსტების ენობრივი ფორმების ანალიზის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერის გადამწერი იყენებს სახარების საკითხავების ცნობილ ტექსტებს, სადაც არ შეინიშნება ორთოგრაფიული შეცდომები, მაგ., იოანეს სახარების საკითხავი ენობრივად და ორთოგრაფიულად გამართულია:

|| *En ἀρχῇ ἦν ὁ Λόγος ἦν καὶ ὁ Λόγος ἦν πρὸς τὸν Θεὸν καὶ Θεὸς ἦν ὁ Λόγος. || *Ὁὗτος ἦν ἐν ἀρχῇ πρὸς τὸν Θεόν. || *Πάντα δι' αὐτοῦ ἐγένετο, καὶ χωρὶς αὐτοῦ ἐγένετο οὐδὲ ἓν ὃ γέγονεν. ἐν αὐτῷ ζῶν ἦν τὸ φῶς τῶν ἀνθρώπων. || καὶ τὸ φῶς ἐν τῇ σκοτίᾳ φαίνει, καὶ ἡ σκοτία αὐτὸ οὐ κατέλαβεν. || Ἐγένετο ἄνθρωπος ἀπεσταλμένος παρὰ Θεοῦ, ὄνομα αὐτῷ Ἰωάννης. || οὗτος ἦλθεν εἰς μαρτυρίαν, ἵνα μαρτυρήσῃ περὶ τοῦ φωτός, ἵνα πάντες μαρτυρήσῃ περὶ τοῦ φωτός. || Ἦν τὸ φῶς τὸ ἀληθινόν, ὃ φωτίζει πάντα ἄνθρωπον, ἐρχόμενον εἰς τὸν κόσμον.

ასეთივე სურათს გვიჩვენებს მინიატურებთან ჩართული საგალობელი ტროპარებიც:

მაგ., 67r-ზე დიდი პარასკევის ტროპარი:

Τον δι' ἡμᾶς σταυροθέντα,

δεῦτε πάντες σμῆσάμεν,

αὐτὸν γὰρ κατείδε Μαρία ἐπὶ τοῦ ξύλου,

καὶ ἔλεγεν, Εἰ καὶ σταυρὸν ὕπομένεις,

σύ ὑπάρχεις ὁ Υἱὸς Θεὸς μου.

66v-ზე ბზობის დღესასწაულის ცისკრის მსახურების საგალობელი ტროპარი:

Συνταφέντες σοι διὰ τοῦ Βαπτίσματος, Χριστέ ὁ Θεὸς ἡμῶν,

τῆς ἀθανάτου ζωῆς ἠξιώθημεν τῇ Ἀναστάσει σου,

καὶ ἀψυχοῦντες κρᾶζομεν, Ὡσαννά ἐν τοῖς ὑψίστοις,

ἐσλογημένος ὁ ἐρχόμενος ἐν ὀνόματι Κυρίου

რაც შეეხება ლოცვების ტექსტებს, რომლებიც ხელნაწერის გადამწერის მიერ უნდა იყოს შედგენილი, მათში შეინიშნება როგორც ორთოგრაფიული, ისე აზრობრივი შეცდომები, რაც ბერძნული ენის არასაკმარისი ცოდნით უნდა იყოს განპირობებული.

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო ენობრივ თავისებურებაზე: მაგ., ტექსტში ხშირად გვხვდება ფორმა ἡμαρτυσατε-რაც ზმნის მარტყა-ს აორისტის მეორე პირის ფორმაა შინაარსიდან გამომდინარე;

ἀγιε θεόδωρε καὶ οἰτίνας ἡμαρτυσατε διὰ τον κυριον ἡμῶν ιησουν χριστον, βιοηθησατε τον δομλον του θεου καιχοσρον.

ლოცვის ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია: „წმინდაო თეოდორე და ვინც ენამეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთვის, შეენიეთ მონასა ღვთისას ქაიხოსროს.“ „ენამეთ“ შინაარსით არის ვნებითი გვარის აორისტი

დროის ფორმა, რომლის სწორი ტრანსლიტერაციაა ἔμαρτυρήσατε. ხელნაწერში დადასტურებული ფორმა ἔμαρτυσατε არ არის არც პოსტბიზანტიური ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი. ეს ენობრივი შეცდომა და სასაუბრო ენის მცდარი წარმოთქმის ვარიანტია.

აქვე საგულისხმოა საკუთარ სახელთა და საღვთო სახელთა „იესო ქრისტე, უფალი ღმერთი“ პატარა ასოებით ტრანსლიტერაცია, რაც ზემოთ მოყვანილ ფრაზაშიც ჩანს: κυρίον,ιησούν χριστόν,τον θεόν, καιἰησοῦν.

საყურადღებო მაგალითია ზმნა σατηρήσατε:

βηθήσατε και σατηρήσατε τον δόνλον τον θεόν καιἰησοῦν (შეენიეთ და აცხოვნეთ მონა ღვთისა ქაიხოსრო).

σατηρήσατε ზმნა მიღებულია ძაჯა (გამოხსნა, ცხოვნება), საიდანაც ნაწარმოებია არსებითი სახელი σατηρία (ცხოვნება), მაგრამ არსებითი სახელის ამგვარი ფუძიდან ზმნის წარმოება არ დასტურდება სალიტერატურო ბერძნულში. ეს, შესაძლებელია, სასაუბრო ენიდან მომდინარეობდეს.

ტექსტში გვხვდება ასევე აორისტის იმპერეტივის შემდეგი ფორმაც 107r-ზე: τους πολεμιστάς αυτών, σατηρίψον (მებრძოლთა მისგან იხსენ), რაც ასევე „σάτιρ“ ფუძიდან არასწორი წარმოებაა. აქვე ორთოგრაფიაც შეცდომით არის, უნდა იყოს „σάτηρ“ ნაცვლად „σάτιρ“-ისა.

ტექსტში, სისტემატურად, φάσ-ის ნაცვლად გვხვდება φασ:

106r ἔμπροσθέν αὐτῶν φασ, ὅπισθ αὐτοῦ δικαιοσύνη.

107r Ἰησοῦς χριστός νικᾷ. φασ χριστῶν.

109r φαστισόν μου

ბერძნულ ტექსტებში ასევე თვალშისაცემია ბიზანტიური ბერძნული ენის ფონეტიკის თავისებურებანი – ხშირია ორთოგრაფიული შეცდომები, მახვილების არასწორი დასმა ან კლება (მახარაძე 2003: 11). მაგ., προτης ἀμαρτίας – უნდა იყოს πρῶτης

გვხვდება აზრობრივად გაუმართავი ფრაზებიც, რაც მხოლოდ ორთოგრაფიით არ არის გამოწვეული: მაგ., ამ ფრაზაში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული. არ არის დასმული მახვილები:

δέομαι τῆς σῆς ἀγαθότητος, δας μι χάρις σὸν σοφῶς του

διανοια και δραν τας σοι ἔαρεστα και μοι συμφερονται (ვევედრები შენს სახიერებას, რომ მომანიჭო ბრძნული აზრი, რათა ვიმოქმედო შენთვის სათნოდ და ჩემს შესაფერისად).

του διανοια-მდედრობითი სქესის სიტყვაა, ამიტომ მდედრობითი სქესის არტიკლი უნდა უძღოდეს τη διανοια. ასევე ბოლო ფრაზა:

„τας σοι ἔαρεστα και μοι συμφερονται. „ἔαρεστα-ს აკლია ὕ- უნდა იყოს ἔαρεστα, ხოლო მეორე სიტყვა – συμφερονται-ზმნა – არის ზმნიზედის ნაცვლად, აზრობრივად ἔαρεστα-ს ანალოგიურად უნდა იყოს ზმნიზედა συμφερουτα. წინადადებაში, შინაარსიდან გამომდინარე, ზმნიზედები უნდა იყოს.

განხილული მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერის ბერძნული ტექსტების ავტორი არ არის კარგად განსწავლული ბერძნული ენის ორთოგრაფიასა და, ზოგადად, სალიტერატურო ენის ნორმებში.

ბერძნულ ტექსტებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ გადამწერისთვის ბერძნული არ უნდა იყოს მშობლიური ენა. თუ გავითვალისწინებთ XV საუკუნეში სამცხე-საათაბაგოში ტრაპიზონის ბერძნულენოვანი ტენდენციების გავლენას და პონტოდან გადმოსახლებულ დიასპორის არსებობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერში შესული ბერძნული ლოცვები შეადგინა ათაბაგების კარზე მყოფმა პონტოელმა ბერძენმა, ან ქართველმა, რომელმაც მხოლოდ სასაუბრო ბერძნული იცოდა.

პოსტიბანტიურ ბერძნულში ბრუნვათა და უღლებათა ფორმების ორთოგრაფია ხშირად არეულია, რაც სახალხო-სალაპარაკო ენის გავლენით აიხსნება. აქედან გამომდინარე, ხელნაწერში დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომები შეიძლება დაეშვა როგორც ტრაპიზონიდან გადმოსახლებულ ბერძენს, ასევე ქართველს, რომელმაც სწორედ ამ გარემოში ისწავლა ბერძნული ენა.

ბერძნული ტექსტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერის შედგენილობა და სახე გარკვეულწილად ავლენს მემკვიდრეობით მიღებულ იმ ლიტერატურულ ტრადიციას, რაც იმ ეპოქაში, ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და საქართველოს მძიმე მდგომარეობის ფონზე, კვლავ იძლეოდა მაღალი პროფესიული დონის შენარჩუნების შესაძლებლობას. ორენოვანი კრებული საინტერესო მაგალითია ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობებისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა როგორც ამ ეპოქის თვალთახედვით გააზრებული ბრწყინვალე საუკუნეების შემოქმედებითი გამოცდილება, ასევე თანადროული აზროვნება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ამირანაშვილი 1961:** ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
2. **დულაშვილი... 2012:** დულაშვილი ე., ქავთარია ნ., ამბავი ერთი ხელნაწერისა, ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან, თბ., 2012.
3. **კლდიაშვილი 2010:** კლდიაშვილი დ., ჯაყელთა კიდევ ერთი საგვარეულო მატრიანე ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, II საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ – მასალები, თბ., 2010.
4. **მახარაძე 2003:** მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, II, თბ., 2003.
5. **სხირტლაძე 1994:** სხირტლაძე ზ., ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოჭედილობა, თბ., 1994.

6. **ქავთარია 2009:** ქავთარია ნ., ათაბაგთა კარის სკრიპტორიუმი XV-XVI საუკუნეებში, I სართაშორისო სიმპოზიუმის „ქართული ხელნაწერი“ – მოხსენებათა თეზისები, თბ., 2009.
7. **შარაშიძე 1961:** შარაშიძე ქ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961
8. **Kavtaria 2012:** Kavtaria N., The Atabag Court and Georgian Miniature Painting of the 15th-16th centuries, Le Symposium International Le Livre. La Romanie. L'Europe, Bucharest, 2012.
9. **Skhirtladze 2005:** Skhirtladze Z., The Original Cladding of the Portaitissa Icon, Oriens Christianus, Bd. 89, 2005.
10. **Евсеева 1983:** Евсеева Л., Греко-грузинская рукопись из собрания гос. публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина, Древнерусское искусство, III, 1983.

Eka Dughashvili

GEORGIAN-GREEK MANUSCRIPT FROM SAINT PETERSBURG COLLECTION: GREEK TEXTS

SUMMARY

The Georgian-Greek manuscript dated to the 15th century housed at the Library in St. Petersburg (Public Library in St. Petersburg, разнояз. 0.1.58) has never been a subject of special study. The structure of the whole collection, the typology of Georgian and Greek texts, their contents, text and philological characteristics have never been investigated. The innovation of the present issue is that the participants of the project of Shota Rustaveli's National Scientific Fund have fully investigated the bilingual texts and illumination of the manuscript.

The manuscript is a unity of bilingual (Georgian and Greek) texts. The texts are of different genre and contents. They contain liturgical readings from the Four Gospels, short-form hymns to certain Feasts and Saints, prayers, apocryphic texts, letters written by Jesus Christ and King Abgar. Texts occupy the space not only at the beginning of the manuscripts but also in the middle and at the end.

Greek texts of the manuscript which have different contents but liturgical function, are interesting. The order of Greek texts is the following:

- Miniatures of the Feasts of the Lord and corresponding hymns (fig.1)
- Personalized months and epigrams compiled by Theodorus Prodromos and Nikoloz Kalikle (fig. 2)
- Prayers – “Bless your people, Lord”, “Our Father”, etc.

- Readings from the Gospel, the so-called Diatesaron: from Four Gospels – John, Mathew, Luke, Markoz
- Prayers of different contents to Saints, Apostles. The texts correspond to miniatures; the prayers mention Kaikhosro. The scribes plead saints his long life and mercy (fig. 3)
- Hymns of philosophical contents by Theodorus Prodromos (114r-115v)

According to their language Greek texts belong to Post-Byzantine period and they were made in the scriptoriums of Samtskhe-Saatabago. The article deals with the language features of the texts. Orthographic and grammatical errors are detected in the texts which make us think that Greek is not a native language for the scribe. Taking into consideration the fact that there was an influence of Greek tendencies of Trabzon in Samtskhe-Saatabago in the 15th century, there was the diaspora of people moved from Ponto in the South Georgia, it can be assumed that the prayers in the manuscripts were compiled by a Greek from Ponto or a Georgian who knew spoken Greek. The Four Gospels housed at Kutaisi Museum is interesting to establish the identity of the scribe. The scribe of the manuscript is Kaikhosro brought up by Atabag and his loyal Hieromonachos Akaki. The information about him can be found in Samtskhe-Saatabago manuscripts of the 1470s. In 1473 Greek Hieromonachos (immigrated from Trabzon) Symeon and Hieromonachos Akaki made a donation to the monasteries of Athos, Jerusalem and Mount Sinai to commemorate Kaikhosro's younger brother Baadur. Kutaisi Four Gospels has close affinity to St. Petersburg Georgian-Greek manuscript in terms of artistic style, calligraphy and décor. Presumably, the manuscript must have been copied by one of these hieromonachoses or maybe both of them contributed to its compilation.



სურ. 1.
ლაზარეს აღდგინება; წმ. დიონისიოსი, წმ. აბერკიოსი;
მედალიონებში: წმ. ათანასე, წმ. სილვესტროსი, წმ. პართენი, წმ. იაკობ ეპისკოპოსი (45v).



სურ. 2.

ნმ. წინასწარმეტყველები: სოლომონი, დავითი, დანიელი, ამოსი; მარტის პერსონი ფიკაცია – მეომარი;

ნმ. აკდანოსი, ნმ. პეგასიოსი, ნმ. ავთომიონი, ნმ. ელპიდეფორი (50v)

